ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 18-68

"17" ივლისი 2015 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 93-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საგადასახადო კოდექსის" მე-7 მუხლის პირველი ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:**

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში (ვებგვერდი, 06/01/2015; სარეგისტრაციო კოდი 200130000.35.101.016108) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) რეზიდენტი საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის – მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობის და მის მიერ ლიზინგით გაცემული ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 1%-ს, ხოლო საქმიანობისათვის სპორტის დარგში გადასახადის წლიური განაკვეთი შეადგენს მათ ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობის და მის მიერ ლიზინგით გაცემული ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 0,001%-ს 2017 წლის 1 იანვრამდე.".

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

სპორტის დარგით დაინტერესებული ეკონომიკური აგენტები და დარგის მმართველი სახელმწიფო უწყებები მომართავენ ადგილობრივ თვითმმართველობას და აღნიშნავენ, რომ ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სპორტის სხვადასხვა სახეობებში არის დიდი საბალანსო ნარჩენი ღირებულების მქონე, რის გამოც მათ უგროვდებათ დიდი საგადასახადო ვალდებულებები ქონების გადასახადის ნაწილში. აღნიშნული დავალიანების დაფარვა სპორტის დარგში საქმიანობიდან შეუძლებელია, რადგან დარგი არაა მომგებიანი და ითხოვენ გადასახადის დაბალი განაკვეთის დადგენას, რათა სპორტის დარგის ინვესტირება გაგრძელდეს კერძო ფინანსური რესურსებით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს კომპეტენციას განეკუთვნება ადგილობრივი გადასახადების შემოღება თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის, ან/და ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეობების მიხედვით ამავე კოდექსით დადგენილი ან საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ზღვრული განაკვეთების ფარგლებში.

წარმოდგენილი პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ხდება საქმიანობისათვის სპორტის დარგში განსხვავებული, შეღავათიანი განაკვეთის დადგენა.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან, არ მოახდენს გავლენას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიმდინარე წლის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე. პროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) პროექტის ავტორი (ავტორები): ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

დ) პროექტის წარმდგენი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.